3379

მუშაკთა ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

სკკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა
და სკკ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი
12 აპრილი
1941 წ.
№ 86 (6091)
ფასი 15 კაპ.

ახალი გამარჯვებებისაკენ

სამი დღის წაყოფიერი მუშაობის შემდეგ 10 აპრილს მუშაობა დაამთავრა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს V სესიამ.

დეპუტატებმა უაღრესად საქმიანად, ბოლშევიკური აზრისა და ნებისყოფის ურყევი ერთიანობით განიხილეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისრის ამხ. კ. ცომაკურიძის მოხსენება საქართველოს სსრ 1941 წლის ბიუჯეტის შესახებ და საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ამხ. გ. ნარსიას თანამოხსენება. კამათში მონაწილეობა მიიღო 33 დეპუტატმა.

ქართველი ხალხის რჩეულნი — დეპუტატები სესიის ტრიბუნიდან უდიდესი სიამაყის გრძნობით ლაპარაკობდნენ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის კოლოსალურ ზრდაზე, სოციალიზმის შშენებლობის ყველა ფრონტზე მიღწეულ გამარჯვებებზე, რაც მოპოვებულია ლენინ-სტალინის დიადი პარტიის, ხალხთა გენიალური ბელადის ამხანაგ სტალინის შეთაურობისა და მზრუნველობის შედეგად, ქართველი ხალხის საამაყო შვილის, მტკიცე სტალინელის ამხანაგ ოვერენტი ბერიას უშფალო ხელმძღვანელობით.

მიღწეულები უდაოა და განსაცვიფრებელი. გული სიამაყის გრძნობით გევსება, როცა თვალს გადაავლებ ორგულნისანი საბჭოთა საქართველოს ზრდის წლებს. წარსულში ჩამორჩენილი ნახევრად-კოლონიალური ქვეყანა საქართველო საბჭოთა მთავრობისა და ბოლშევიკების სახელოვანი პარტიის დაუცხრომელი მზრუნველობით გადაიქცა ინდუსტრიულ-აგრარულ ქვეყნად, ერთერთ მოწინავე რესპუბლიკად, საბჭოთა კავშირის მარგალიტად.

საქართველოში განვითარდა მრეწველობის ახალი დარგები. შეიქმნა სოციალისტური ინდუსტრიის კერები, რაც უმაგალითოდ განამტკიცებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ ძლიერებას. აყვავდა სოფლის მეურნეობა. სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების განუხრელად გატარების შედეგად დღითიდღე უმჯობესდება კოლმეურნე გლეხობის მატერიალურ - ყოფიერებრივი პირობები. დღეს საბჭოთა საქართველოს მშრომელები, გამობმარნი სტალინური კონსტიტუციის ცხოველმყოფელი სხეებნი, ბედნიერად და საამოდად ცხოვრობენ.

ჩვენი ხალხის ბედნიერებაზე, მათ მომავალზე თვალწინაა მეტყველებს საქ. სსრ 1941 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი. დეპუტატები, ერთსულოვნად იწონებდნენ რა საქართველოს სსრ მთავრობის მიერ სესიაზე განსახილველად წარმოდგენილ ბიუჯეტს, აღნიშნავდნენ აგრეთვე იმ ნაკლოვანებებს, რაც ახასიათებდა 1940 წლის ბიუჯეტის შესრულებას.

შეხუთე სესიამ უდიდესი ერთსულოვნებით დაამტკიცა საქ. სსრ 1941 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, ორდენოსანი საქართველოს ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომი ზრდის ბიუჯეტი.

1941 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით შემოსავალი გათვალისწინებულია 1.233.760 ათასი მანეთი. საკუთარი საშემოსავლო წყაროები ზრდება 55,6 პროცენტიდან 67,2 პროცენტამდე, რაც ნათლად ადასტურებს საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ალმავლობას. შემოსავლის ძირითადი წყაროებია ანარიცხები ბრუნვის გადასახადიდან და სახალხო მეურნეობის მოგების ანარიცხები. შემოსავლის ამ ნაწილის შესრულება დამოკიდებულია პროდუქციის გამოშვებაზე, საქონლის ბრუნვის გეგმების შესრულებაზე. ამიტომ არა მარტო საფინანსო დარგის მუშაკების, არამედ მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელთა წინაშე უდიდესი ამოცანებია დასმული. ამ ამოცანათა შესრულება უზრუნველყოფს ორდენოსანი საქართველოს შემდგომ წინსვლას და აყვავებას.

1941 წლის ბიუჯეტით კაპიტალური სახის დაბანდებებზე გათვალისწინებულია დაიხარჯოს სულ 353.531 ათასი მანეთი. მზარდი კულტურული მშენებლობის ღონისძიებებზე 1941 წელს ბიუჯეტით გაეცემული იქნება 822.623 ათასი მანეთი, ე. ი. ბიუჯეტის მოცულობის 67,5 პროცენტი. მარტო სახალხო განათლებაზე მიმდინარე წელს უნდა დაიხარჯოს 543.969 ათასი მანეთი, რაც შეადგენს ბიუჯეტის მოცულობის 44,9 პროცენტს.

ბიუჯეტით გათვალისწინებული კაპიტალური მშენებლობის თანხები მიზანმიწურნილად უნდა გამოვიყენოთ. მშენებლობა უნდა ეწარმოოთ სწრაფად, ხარისხიანად და გათვალისწინებული დროის მონაკვეთში. ამ საქმეში თავიდან უნდა აღიკვეთოთ წინა წლებში არსებული ნაკლოვანებანი.

დღეევანდელი ახალი ვითარება, XVIII პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებანი გვავალებენ ეიმუშაოთ ახლებურად, უფრო უკეთესად, გავაჩაღოთ ბოლშევიკური მუშაობა XVIII პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებათა განუხრელი შესრულებისათვის. ეკონომიკა, დაუყოვნებლივ უნდა აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაობაში. მივაღწიოთ კულტურულ, რიტმიულ, ორგანიზებულ მუშაობას. გრაფიკის მტკიცედ დაცვით პროდუქცია უნდა გამოვუშვათ თანაზომიერად, შეეფაცერით თვალღრეზულება და გავაუმჯობესოთ პროდუქციის ხარისხი. სოციალისტური შეჯიბრების ტალღის მძლავრი აზვირთვით, შრომის დისციპლინის კიდევ უფრო განმტკიცებით 1941 წლის გეგმები უნდა შესრულდეს ხარისხიანად და გადაჭარბებით.

V სესიამ აირჩია სკკ. სს რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სახალხო მსაჯულები, ერთხმად მიიღო დადგენილებანი სკკ. სს რესპუბლიკის კონსტიტუციის 13, 19, 50, 55, 56 და 107 მუხლების ცვლილებათა და დამატებათა შესახებ და დაამტკიცა სკკ. სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება, რომლითაც მიღებული საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მესამე და მეხუთე სესიებს შორის განვლილ პერიოდში.

სესიამ მუშაობა დაამთავრა. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ სესიის დადგენილებანი მტკიცედ გავატაროთ ცხოვრებაში. ორდენოსანი საქართველოს პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები, რომლებიც უსაზღვროდ ერთგულნი არიან ლენინ-სტალინის დიადი პარტიისა და ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინისა,** ეშვი არ არის, რომ ბოლშევიკურად შეასრულებენ 1941 წლის სახელმწიფო ბიუჯეტს და ამით კიდევ უფრო უზრუნველყოფენ ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ალმავლობას, მისი ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომ განმტკიცებას.

წინ, ახალი გამარჯვებებისაკენ!

„პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური ლიტერატურა"

(კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის ორკვირეული ჟურნალი)

ლიტერატურული კრიტიკა. და ბიბლიოგრაფია ერთერთი ყველაზე სერიოზული საშუალებაა კომუნისტური აღზრდისა, მოწინავე თეორიის — მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის მთავარების პროპაგანდისა. ლიტერატურული კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის ეს ამოცანები არაერთხელ ყოფილა ხაზგასმით აღნიშნული ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მთელ რიგ დადგენილებებში.

სკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად, სკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსენგელს-ლენინის ინსტიტუტი შეუდგა ორკვირეული ჟურნალის „პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური ლიტერატურის" გამოცემას. ჟურნალის მთავარი დანიშნულებაა მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლისათვის საჭირო ლიტერატურის ამორჩევაში დახმარების გაწევა.

ჟურნალის პირველ ნომერში, რომელიც უკვე გამოვიდა, მოთავსებულია სტატიები: „ფილოსოფიის მარქსისტული ისტორია" გ. ალექსანდროვისა, „ფილოსოფიის ისტორიის" პირველი ტომი" — პ. ვიშნესკისა, მთელი რიგი სტატიები ისტორიის, ეკონომიკის, მსოფლიო მეურნეობისა და მსოფლიო პოლიტიკის დარგიდან, მოცემულია სტატიების მიმოხილვა, ბიბლიოგრაფიული კონსულტაცია და სხვ. (საკდესი).

ღვინის მექანიზებული ქარხნის მშენებლობა

ლენინაბადის ოლქის ფარა-ტიუბში შენდება დიდი მექანიზებული ღვინის ქარხანა, რომელიც წელიწადში 12 ხარისხის 5 მილიონ ლიტრ ღვინოს გამოუშვებს.

(საკდესი).

ჩვენი ქვეყნის მიწის წიაღის კვლევა

გაზეთულის დაწყებასთან ერთად მთელს საბჭოთა კავშირში ფართოდ გაჩაღდება გეოლოგიურ-საკვლევო მუშაობა. იწარმოებს მთამაღნეულოვანი ძიება და ახალი საბადოების გეოლოგიური აგებვა.

ყველა გეოლოგიური სამუშაოსათვის გადადებულია 2 მილიარდამდე მანეთი — შარშანდელზე თითქმის ერთიორად მეტი. განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა მინერალური სათბობის ძიებას.

ციმბირში, ურალში, შუა აზიაში, უაზხეთში და ბელორუსიაში უნდა მოიწყოს ახალი საბადოების ძიება ნავთის ბაზების შესაქმნელად. განზრახულია გამოკვლეულ იქნას ჩვენს ქვეყანაში ნავთის ახალი რაიონები სიმძლავრით 170 მილიონ ტონამდე.

1941 წელს ფართოდ იქნება გამოყენებული რკინის მადნის აერომაგნიტური ზვერვა. უაზხეთში, მთიან შორიაში და აღმოსავლეთ ციმბირში თვითმფრინავებით დაზვერილ იქნება მადანი დაახლოებით 1,5 მილიონ კვადრატულ კილომეტრ ტერიტორიაზე.

მიწის წიაღის მკვლევარნი 142 ათას სიგრძივ მეტრს გასთხრიან შახტებსა და წოლხვრელებში; მათ უნდა ამოიღონ 1 მილიონზე მეტი კუბური მეტრი გრუნტი, გბეტონი 3,6 მილიონზე მეტი სიგრძივი მეტრი. გეოლოგიურ რუკებზე აღნიშნულ იქნება 680 ათასი კვადრატული კილომეტრი ფართობი — სსრ კავშირის მთელი ტერიტორიის 3,12 პროცენტი.

საკვლევად გაიგზავნება 5 ათასზე მეტი გეოლოგიური პარტია.

(საკდესი).

გამოუვნა ვ. ვ. მაიაკოვსკის შესახებ

14 აპრილს 11 წელი სრულდება ვლადიმერ მაიაკოვსკის გარდაცვალების დღიდან. ამასთან დაკავშირებით მოსკოვში ამთავრებენ პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი მუდმივი სრულიად-საკავშირო გამოფენის მოწყობას. ძველებური დოხორე, რომელიც რსფსრ სახკომსაბჭომ გამოჰყო გამოფენის მოსწყობად, რადიკალურად იქნა რეკონსტრუირებული. მასში არის 8 დარბაზი, რომლებიც გიფორმებულია მხატვართა არქიტექტორთა და მოქანდაკეთა ბრიგადის მიერ.

გამოფენაზე თავმოყრილია მაიაკოვსკის წიგნები, რომლებიც გამოცემულია სსრ კავშირის ხალხთა მრავალ ენაზე. გამოფენილი იქნება ოქროსი გამოცემანი, ხელნაწერები და მასალა, რომელნიც ახასიათებენ მაიაკოვსკის მუშაობას თავის ნაწარმოებებზე, მის სათეატრო და საგაზეთო მოღვაწეობას, ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ მოგზაურობას. (საკდესი).

ტაჯიკური ხელოვნების დეკადა მოსკოვში. **სურათზე:** (მარცხნიდან) ზემოთ— ქალთა ხალხური ცეკვა „ქარ-ქარ"; ქვემოთ—ფინალის სცენა ოპერიდან „ფეიდელი კოჯა"; მარჯვენით—სცენა მუსიკალური წარმოდგენიდან „ლილა". ფოტო ლ. დიატლოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტში

იუბილეების გაღახდის წესის შესახებ

ამ უკანასკნელ წლებში ფართოდ გავრცელდა სხვადასხვა ორგანიზაციათა, დაწესებულებათა, საწარმოთა, საზოგადოებათა, სამეცნიერო ინსტიტუტთა, სასწავლებელთა და ცალკეულ პირთა ყოველგვარი იუბილეს გადახდის არაჯანსაღი პრაქტიკა. იუბილეებს უფარდებენ სრულიად თვითნებურ თარიღებს. იხდიან ამა თუ იმ ორგანიზაციის, საწარმოს, დაწესებულების არსებობის 3 წლისთავს, 5 წლისთავს, 10 წლისთავს, 15 წლისთავს, 20 წლისთავს, ცალკეულ პირთა იუბილეებსაც აწყობენ ასეთსავე თვითნებურ ვადებში და სრულიად სხვადასხვა საბაბით—ამა თუ იმ საწარმოში, დაწესებულებაში მუშაობის დროის მიხედვით, ამა თუ იმ სპეციალობაში მუშაობის დროის მიხედვით, ასაკის მიხედვით. იუბილეებს ხშირად იუბილარების მუშაობის მიღწევათა გაუთვალისწინებლად იხდიან და საიუბილეო ვაკხანალიად აქცევენ. იუბილეებს მთავრობის სათანადო ორგანოების ნებადაერთოველად აწყობენ და მათ ჩასატარებლად მნიშვნელოვან სახელმწიფო და საზოგადოებრივ სახსრებს ხარჯავენ, ამასთან ყოველთვის მოითხოვენ იუბილარების ორდენებითა და მედალებით დაჯილდოებას.

ვინაიდან მთავრობა და პარტია სახელმწიფოს წინაშე საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და ცალკეულ პირთა განსაკუთრებულ დამსახურებას სახელმწიფო ჯილდოებითა და წახალისების სხვა ღონისძიებებით აღნიშნავენ, სსრ კავშირის სახკომსაბჭომ და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა, იუბილეებს გადახდის მოწესრიგების მიზნით, დაადგინეს:

1. სხვადასხვა ორგანიზაციათა, დაწესებულებათა, საწარმოთა, საზოგადოებათა, სამეცნიერო ინსტიტუტთა და სასწავლებელთა იუბილეები, როცა იუბილარების მუშაობაში ღირსშესანიშნავი მიღწევებია, ტარდებოდეს მხოლოდ მათი არსებობის ოცი წლისთავის, ორმოცდაათი წლისთავის, ასი წლისთავის დღეებში და შემდეგ ყოველი ორმოცდაათი წლისთავზე.

2. გამოჩენილ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა, ხელოვნებისა და მეცნიერების, ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში თავიანთი აღმოჩენებითა და მიღწევებით სახელი მოუხვეჭეს სამშობლოს, ტარდებოდეს მათი გარდაცვალების შემდეგ თარიღებთან დაკავშირებით: 25, 50, 75, 100, 150, 200 წელი და შემდეგ ყოველ 100 წელში.

4. იუბილეების ორგანიზაცია და მათ მოსაწყობად სახსრების ხარჯვა მხოლოდ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ნებართვით შეიძლება.

უკანასკნელი ცნობები

ინგლის-გერმანიის ომი

ლონდონი, 11 აპრილი (საკდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ 10 აპრილს, ღამით, ინგლისში მტრის დიდძალი თვითმფრინავი მოქმედებდა. მტრის ავიაციამ განსაკუთრებული აჟეტაჟით გამოიჩინა სამრეთი ინგლისში. მტრის მორთული იერიში მიიტანა ცენტრალური საგრაფოების დასავლეთ ნაწილში, სადაც მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი მოგვაყენა. მიღებულია ბრეთელ ცნობები, რომ მტრის მნიშვნელოვანი ზარალი მოგვაყენა ცენტრალური საგრაფოების, აღმოსავლეთი ნაწილის სხვადასხვა პუნქტებში, აღმოსავლეთ ინგლისში და სამრეთ სანაპიროს, მთლიანად, ბერეთავე სხვა რაიონებშიც, ღონისძიის ნათელი. ღამის განმავლობაში ინგლისის, ავიაგამანადგურებლებმა მოსკეს მტრის 9 თვითმფრინავი.

10 აპრილს, ღამით, გერმანიის ავიაციამ მნიშვნელოვან აჟტაჟებს ინიციდა ლა-პანშის სრეტეში. გერმანიის ზოგიერთმა თვითმფრინავებმა შეესწრო მოგაზელ ინგლისში შემოჭრა. ბაგრამ ბომბარდირების, შესახებ ცნობები მიღებული არ არის.

ოთხგრაც რეიტერის სააგენტო გადმოგვაცემს, 10 აპრილს, ღამით, ინგლისის ყუმბარაშენენები თავს დაესხნენ სპრეწველი ობიექტების ოთის ოლქში და

გერმანიის ავიაციის თავდასხმა ინგლისზე

ლონდონი, 11 აპრილი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვაცემს, რომ ინ ქალაქები, რომლებშიც 10 აპრილს, ღამით, გერმანიის ავიაციის ინტენსიური

ომი ბალკანეთში

ნიუ-იორკი, 11 აპრილი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტო გადმოგვაცემს, რომ გერმანიის ჯავშანსატანკო კოლონაებმა დაიწყეს შეტევა სალონიკიდან სამხრეთით ეგეოსის ზღვის სანაპიროს გასწვრივ სპერქნეთის, მთავარი არმიის მარჯვენა ფლანგისა და ინგლისის იმ შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ, რომლებიც ოლიმპის მთების რაიონში არიან განლაგებულნი. ოფიციალური ჩრდილოეთ ნაწილში, გერმანიის ჯავშანსატანკო ჯარმა დაიკავა ქალაქი ბლეფი და წყნეთა ლიფლანიის მიმართულებით, რომელსაც კლაგენფურტი-დან ეტაკვა.

იუნიტედ პრესის სააგენტოს ათენელი კორესპონდენტის გადმოცემით, გერმანიის ავიაციის თავდასხმა თორეზე 9 აპრილს, საღამოს, ყველაზე ხანგრძლივი თავდასხმა იყო იმ თავდასხმებს შორის, რაც ომის დაწყების დროიდან მოიმდგარა. საზენიტო ქვემეზენის ძლიერი ცეცხლის დამბარეები თვითმფრინავები გორეკილ იქნენ.

ბაზეი „ნიუ-იორკ ტაიმსის" გადმოცემით, გერმანიის 2 ჯარის 2 კოლონა, ავსტრია-იტალიის საზღვრიდან და გრაციდან ტუტეს, მათ იერიში მიაქვთ მდინარე სავისა და დრავის ხეობებით და უკანასკნელი ფიუ-ღამის, გამბალლობაში გამოვიდნენ ლიუბლიანის, ზაგრების ბაზეზე და შემდეგ აღმოსავლეთისაკენ, გერმანიის ჯარის კოლონაებ, რომელიც ვრაბოლიან (ტუბინეთის საზღვარზე) გამოვიდნენ, ბელგრადის მიდამოს მიაღწიეს. ოფუნდის, რომ ოფუსოლეკიის სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონში მდგომი ტალიბ სტანლეტრი გაბეგ, გერმანელებმა ვერ შესძლეს კონანიკის გასასვლელში გავლა.

შემდეგ ბაზეთან ოფუსეტა, რომ უშეფიდან დამთავრდა ინგლისის ჯარის 4 ცალა ბასულიფო ყარა-ორმანის ტალეგამ, რათა გერმანიის ჯარს შეეერთებოდა. იტალიელებმა დიდი ზარალი ნახეს. ოფუსეტანინ, რომ ოფუსოლეკიის 30-4 ათასიან, რომელიც ბაგრეს ეფარებოდა ინ ალბანეთ, ინგლისელთა ნოვი სალ ეფარებოდა გეგმის შესაბამისად.

ინგლისელ-ბერძენთა ბრძოლა ეთიოპიაში

ლონდონი, 11 აპრილი (საკდესი). ინგლისელ-ბერძენთა ბრძოლა ეთიოპიაში ინ ინ ინ

საქართველოს სსრ I მოწვევის უმაღლესი საბჭოს V სესია

საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ზოგიერთი მუხლის ცვლილება-დამატებისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იმ გრძანებულებათა დამტკიცების შესახებ, რომლებიც მიღებულია მე-3 და მე-5 სესიების შუაკერძოდ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის, დეპუტატ

ვ. ი. ეგნატაშვილის მოხსენება

ამხანაგებო, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებო!

მხოლოდ 10 თვე გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს III სესიიმ საქართველოს სსრ კონსტიტუციის იმ მუხლში, სადაც ჩამოთვლილია საკავშირო სახელმწიფოდ გაერთიანებული საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები, მე-12 მოკავშირე რესპუბლიკად აღიარა კარელო-ფინეთის ახალი მოძმე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.

მას აქეთ საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ცხოვრების მატიანე კიდევ უფრო დიდი, მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენებით, ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ახალ-ახალი ბრწყინვალე გამარჯვებით აღიბეჭდა: ხალხთა მეჯიდრო ოჯახად შედუღებულს, ისედაც უკვე-ცელესს, უდიდესსა და უძლიერესს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს კიდევ ოთხი მოკავშირე რესპუბლიკა შეემატა: მოლდავეთის, ლატვის, ლიტვის და ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები.

ამიერიდან საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შემადგენლობაში შედის 16 თანასწორუფლებიანი მოკავშირე რესპუბლიკა.

ყველა ამ მოვლენებმა თავისი გამოხატულება ჰპოვეს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს VII სესიის საკანონმდებლო აქტებში.

ამის შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს V სესიამ დამატება უნდა შეიტანოს საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) მე-13 მუხლში, რომელიც დღეიდან ასე უნდა გამოიხატოს:

„მუხლი 13. ეკონომიური და პოლიტიკური ხაზით, ისე როგორც თავდაცვის ხაზით ურთიერთი დახმარების განსაზორცეელებლად საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ნებაყოფლობით გაერთიანდა თანასწორუფლებიან საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებთან: რუსეთის სფსრ, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, აზერბაიჯანის სსრ, სომხეთის სსრ, თურქმენეთის სსრ, უზბეკეთის სსრ, ტაჯიკეთის სსრ, ყაზახეთის სსრ, ყირგიზეთის სსრ, კარელია - ფინეთის სსრ, მოლდავეთის სსრ, ლიტვის სსრ, ლატვის სსრ, ესტონეთის სსრ-თან საკავშირო სახელმწიფოში — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში.

ამისდამიხედვით საქართველოს სსრ უზრუნველყოფს სსრ კავშირისათვის, მისი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების სახით, სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-14 მუხლით განსაზღვრულ უფლებებს.

სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-14 მუხლის ფარგლებს გარეშე საქართველოს სსრ ანსორიცეელებს სახელმწიფო ძალაუფლებას დამოუკიდებლად და ინარჩუნებს სრულად თავის სუვერენულ უფლებებს.“

ამხანაგებო, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 16 აგვისტოს გრძანებულებით ქალაქი ჭიათურა გამოეყო ჭიათურის რაიონს, როგორც დამოუკიდებელი ადმინისტრატიულ-ტერიტორიული ერთეული, და მიეკუთვნა რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 19 ოქტომბრის გრძანებულებით აღბულაღის რაიონის ცენტრს სოფ. აღბულაღს სოფ. თეთრი წყაროს დაერქვა და აღბულაღის რაიონს— თეთრი წყაროს რაიონი.

ამ ორი გრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს V სესიამ ცვლილება და დამატება უნდა შეიტანოს საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) მე-19 მუხლსა და 107 მუხლში, სადაც ჩამოთვლილია საქართველოს სსრ-ში შემავალი ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები, ავტონომიური ოლქი, რაიონები და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქები.

ამის შესაბამისად საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) მე-19 მუხლი დამატების შეტანის შემდეგ ასე გამოიხატება:

„მუხლი 19. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შესდგება: აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა, აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისაგან; აბაშის, ადიგენის, ამბროლაურის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ბაშკიჩეთის, ბოგდანოვკის, ბორჩალოს, ბორჯომის, გეგეჭკორის, გორის, გურჯაანის, დუშეთის, ვანის, ზემო-სვანეთის, ზესტაფონის, ზუგდიდის, თბილისის, თეთრი წყაროს, თელავის, თიანეთის, კასპის, ლაგოდეხის, ლანჩხუთის, ლენინგორის, ლენინაკანის, ლენინის, ლუქსემბურგის, მაიაკოვსკის, მახარაძის, მცხეთის, ონის, ორჯონიკიძის, საგარეჯოს, სამტრედიის, საჩხერის, სიღნაღის, ტყიბულის, ქარელის, ქვემო-სვანეთის, ქუთაისის, ყაზბეგის, ყარაიის, ყვარლის, ჩოხატაურის, ჩხარის, ჩხოროწყუს, ცაგერის, ცხაკაიას, წალენჯიხის, წალაკის, წითელწყაროს, წულუკიძის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხაშურის, ხობის რაიონებისაგან და ქალაქებისაგან: თბილისის, ქუთაისის, ფოთისა და ჭიათურისაგან, რომლებიც რაიონების შემადგენლობაში არ შედიან“. 107 მუხლი დამატების შემდეგ ასე გამოიხატება:

„მუხლი 107. ქალაქ თბილისის, ქუთაისის, ფოთისა და ჭიათურის შრომელთა დეპუტატების საბჭოების განყოფილებანი თავიანთ მოქმედებაში ექვემდებარებიან როგორც შრომელთა დეპუტატების სქალაქო საბჭოს და მის აღმასრულებელ კომიტეტს, ისე საქართველოს სსრ სათანადო სახალხო კომისარიატს“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 6 სექტემბრის გრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 31 ოქტომბრის გრძანებულებით შეიქმნა საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის საკავშირო-რესპუბლიკური სახალხო კომისარიატი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1941 წლის 8 თებერვლის გრძანებულებით შეიქმნა საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის რესპუბლიკური სახალხო კომისარიატი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1941 წ. 3 თებერვლის გრძანებულების საფუძველზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის II მარტის გრძანებულებით საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი ორ სახალხო კომისარიატად გაიყოს: საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატად და საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატად.

ამ კომისარიატების შექმნასთან დაკავშირებით სათანადოდ უნდა შეიცვალოს საქართველოს სსრ კონსტიტუციის 50 მუხლი, რომელითაც განსაზღვრულია საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს შემადგენლობა, 55 მუხლი, რომელშიაც ჩამოთვლილია საქართველოს სსრ საკავშირო-რესპუბლიკური სახალხო კომისარიატები, და 56 მუხლი, რომელშიაც აღნუსხულია საქართველოს სსრ რესპუბლიკური სახალხო კომისარიატები.

ამის შესაბამისად საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 50, 55 და 56 მუხლები შემდეგნაირად უნდა გამოიხატოს:

„მუხლი 50. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ჰქმნის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები;

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ სახალხო კომისრები:

კვების მრეწველობისა;
ხორცისა და რძის მრეწველობისა;
მსუბუქი მრეწველობისა;
საფეიქრო მრეწველობისა;
სატყეო მრეწველობისა;
მიწათმოქმედებისა;
მარცვლეულისა და მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებისა;
ფინანსთა;
ვაჭრობისა;
შინაგან საქმეთა;
სახელმწიფო უშიშროებისა;
იუსტიციისა;
ჯანმრთელობის დაცვისა;
სახელმწიფო კონტროლისა.“

„მუხლი 56. საქართველოს სსრ რესპუბლიკური სახალხო კომისარიატები არიან სახალხო კომისარიატები:

განათლებისა;
ადგილობრივი მრეწველობისა;
წყალთა მეურნეობისა;
კომუნალური მეურნეობისა;
საავტომობილო ტრანსპორტისა;
სოციალური უზრუნველყოფისა“.

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დასამტკიცებლად შემოიტანს ავრეთვე შემდეგი გრძანებულებანი:

1940 წ. 16 აგვისტოს გრძანებულება „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 75 და 177 მუხლების ნაწილობრივი ცვლილების შესახებ“.

ეს გრძანებულება დამყარებული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წ. 10 აგვისტოს გრძანებულებაზე, „წარმებაში წერილობანი ქურდობისა და ხელოვნებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“, იგი აუქმებს: რომ ეგრეთწოდებული „წერილობანი ქურდობა“ ძალი ოდენობის მიუხედავად, რაც ჩადენილია საწარმოში ან ფიზიკურ ბუღალტერიაში—დისციპლინა სპეციმრომში მოთავსებით ერთი წლის ვადით, რომ საწარმოებსა, დაწესებულებებსა და სახლგადოებრივ ადგილებში ჩადენილი ხელოვნური მოქმედება დაისჯება სპეციმრომში მოთავსებით ერთი წლის ვადით, თუ ეს დანაშაულობანი თავისი ხასიათით არ იწვევენ კანონით გათვალისწინებულ უფრო მძიმე სასჯელს. ამასთანავე უქმდება ის წესი, რომლითაც მუშა - მოსამსახურე თავის საწარმოში საწარმოო მასალისა ან იარაღის მოპარვისათვის, თუ მოპარულის ღირებულება 15 მანეთს არ აღემატებოდა, პასუხს აგებდა სადაც ცალინო წესით.

1940 წ. 30 აგვისტოს გრძანებულება „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 143² მუხლის ცვლილების შესახებ“.

ეს გრძანებულება დამყარებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1940 წ. 10 ივლისის გრძანებულებაზე „საბრალო ერთ საწარმოთა მიერ ცუდი ხარისხის ან არაკომპლექტური პროდუქციის გამოშვებისა და საგალდებული სტანდარტების დაუცველობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“.

1940 წ. 16 აგვისტოს გრძანებულება „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 25¹ მუხლის შეცვლისა და XXVI თავის მე-3 კარის (მუხ. 366—371) გაუქმების შესახებ“.

ეს გრძანებულება დამყარებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1938 წ. 16 აგვისტოს „სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების კანონის“ მე-9 და 14 მუხლებზე, რომლებითაც დაწესებულია სასამართლოში საქმეების კოლეგიურად განხილვა მოსამართლისა და ‘ახალხო მსაჯულთა ბის, მიერ ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში სამი მსაჯულის შემადგენლობით; კოდექსის ცვლილების შინაარსი ის არის, რომ კანონი საესებით აუქმებს საქმეების ერთპიროვნულად განხილვას, რასაც კოდექსის ზოგიერთი მუხლი ითვალისწინებდა; ყველა საქმე კოლეგიურად უნდა ირჩეოდეს, გარდა საშუალო გაცდენისა და საწარმოდან და დაწესებულებიდან თვითნებურად წასვლის საქმეებისა, რომლებიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 10 აგვისტოს გრძანებულების თანახმად ერთპიროვნულად ირჩევა სახალხო მოსამართლეების მიერ. სახალხო მსაჯულების დაუსწრებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1941 წ. 29 მარტის გრძანებულებით საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის ზოგიერთი მუხლის ცვლილება მოხდა. ეს გრძანებულებაც დამყარებულია „სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების კანონის“ მე-9 და 14 მუხლებზე სასამართლოებში საქმეების კოლეგიურად განხილვის შესახებ; იგი აუქმებს საქმეების ერთპიროვნულად განხილვას, რასაც კოდექსის ზოგიერთი მუხლი ითვალისწინებდა, და აწესებს საქმეების კოლეგიურად განხილვას მოსამართლეების მიერ. ამავე დროს კოდექსიდან ამოიღებულია ის ადგილები, რომლებიც სამხედრო სამსახურისაგან რელიგიური რწმენის გამო განთავისუფლების საქმეების განხილვას ეხებოდა, რადგან „საყოველთაო სამხედრო ვალდებულების“ კანონი ასეთი განთავისუფლებას აღარ ითვალისწინებს.

ამხანაგო დეპუტატებო! ახალი სახალხო კომისარიატების შექმნასთან და ზოგი სახალხო კომისრის თავისი მოვალეობისაგან განთავისუფლებასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის წარდგენით, სახალხო კომისრები დანიშნა.

კონსტიტუციის 36 მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად, პრეზიდიუმს უმაღლეს საბჭოში დასამტკიცებლად შემოაქვს გრძანებულებანი, რომლებითაც საქართველოს სსრ სახალხო კომისრებად დანიშნული არიან:

სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისრად — ჯაში მაკარი ივანეს-ძე;

ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისრად — მაჭავარიანი სიმონ ნიკოლოზის-ძე;

წყალთა მეურნეობის სახალხო კომისრად — ზაბახიძე გრიგოლ ხიკიფორეს-ძე;

შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად — ქიქუჩაია ვარლამ ალექსის-ძე;

სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისრად — რაფავა ავქსენტი ნარიკის-ძე;

სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულად საქართველოს სსრ-ში — კაკაბაძე ზაქარია ნიკოლოზის-ძე.

კონსტიტუციის იმავე 36 მუხლის „ი“ პუნქტის საფუძველზე, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს სესიის დასამტკიცებლად შემოაქვს გრძანებულება, რომლითაც საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარი ჯაში მაკარი ივანეს-ძე დაინიშნა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

1940 წ. ნოემბერში გარდაიცვალა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი დეპუტატი ივანე ალექსანდრეს-ძე ჯაფარიძე; ამასთან დაკავშირებით პრეზიდიუმში ახლა 16 წევრია.

რადგან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი დეპუტატი მაკარი ივანეს-ძე ჯაში დანიშნულია საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისრად და სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ, ხოლო პრეზიდიუმის წევრი დეპუტატი ივანე ვლადიმერის-ძე ტიუნელიანი სამუშაოდ გადაყვანილია საქართველოს გარეთ, თბილისის, ქუთაისის, ჭიათურისა და გორის რაიონების დეპუტატების ჯგუფის დავალებით წარადგენდა შემომაქვს, რომ ამხანაგები ჯაში და ტიუნელიანი განთავისუფლდნენ პრეზიდიუმის წევრობის მოვალეობისაგან.

დეპუტატების იმავე ჯგუფის სახელით წარადგენდა შემომაქვს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებად არჩეულ იქნან დეპუტატები ა. ი. ჯანელიძე, ვ. დ. ბუჯიაშვილი, ი. ო. მოსაშვილი.

ეი ის ცვლილებანი და დამატებანი საქართველოს სსრ კონსტიტუციისა, ის გრძანებულებანი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 5 სესიისა ამიღამ, ამ ორ-სამ საათში, ერთ-ერთ მანქანებისა და ბოლოს ბოლოს, ეკონომიურ-ეკონომიურ ეფექტიანობა ეფექტიანობა ეფექტიანობა

საქართველოს სსრ I მოწვევის უმაღლესი საბჭოს V სესია

კამათი საქართველოს სსრ 1941 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ გაკეთებული მოხსენების გამო

დეპუტატ ბ. ვ. გოგუას სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! ბიუჯეტი, რომელიც საქართველოს მთავრობამ დასამტკიცებლად წარმოუდგინა უმაღლესს საბჭოს სესიას, სავსებით შეესაბამება საკავშირო კომუნისტური პარტიის XVIII ყრილობის და საკ. კ. პ. (ბ) XVIII სრულიად - საკავშირო კონფერენციის ისტორიულ დადგენილებებს. აქ წარმოდგენილი ბიუჯეტის თვითეული ციფრში ასახულია სოციალისტური საქართველოს დიდი წარმატებანი, მისი სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი აღმავლობა, ქართველი ხალხის მატერიალური კეთილდღეობის შეუნელებელი ზრდა.

ამხანაგო დეპუტატებო! მე მინდა თქვენი ყურადღება მივაქცეო საბჭოთა ხელოვნებას, რომელიც მთავრობისა და პარტიის დიდი მზრუნველობისა და ყურადღების შედეგად დღითიდღე იზრდება და იფურჩქნება.

1940 წ. რუსთაველის, მარჯანიშვილის, გრიბოედოვის და ჭუთასის, ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრებში განხორციელებულ იქნა მთელი რიგი ღირსშესანიშნავი დადგმები.

1940 წ. მოზარდ მაყურებელთა თეატრების ჩვენებაზე ქ. მოსკოვში ქართულმა მოზარდ მაყურებელთა თეატრმა ერთერთი პირველი და საპატიო ადგილი დაიკავა თავისი საუკეთესო დადგმების „სურამის ციხის“ და „ნაცარქექიას“ ჩვენებით.

მნიშვნელოვანი მიღწევები აქვთ ბერეთელ ფუხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის თეატრებს, რომელთაც დიდი წარმატებით განახორციელეს როგორც თავისი ორიგინალური, ეს ქართველ დრამატურგთა და კლასიკოსთა პიესები. რაიონულ და საკოლმეურნეო თეატრებში დადგმულია მთელი რიგი ახალი ორიგინალური პიესები.

საქართველოს თეატრების რეპერტუარის ორიგინალური პიესებით შევსებასა და დრამატურგიის ახალი კადრების გამოვლინებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი 1940 წ. ჩატარებულმა რესპუბლიკურმა კონკურსმა საუკეთესო პიესაზე.

საბჭოთა საქართველოს ხელოვნების უმნიშვნელოვანეს დარგს წარმოადგენს სოიპერი და საბალეტო ხელოვნება. 1940 წელი წარმოადგენს გარკვეულ ეტაპს ქართული ორიგინალური საბჭოთა სოიპერო რეპერტუარის შევსების თვალსაზრისით.

მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია საქართველოს საბჭოთა სახეითმა ხელოვნებამ. 1940 წ. მოწყობილი იყო ექვსი გამოფენა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გამოფენები, მიძღვნილი სტალინის დაბადებიდან 60 წლისთავისადმი, და „საბჭოთა საქართველოს XX წელი“.

საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 20 წლის მანძილზე აღიზარდა საბჭოთა ქართველ ხეროიმოძღვართა მთელი თაობა. ხეროიმოძღვრობის დარგში გამოცდილებისა და დიდი კულტურული მემკვიდრეობის ერთიერთ გაცნობისა და ათვისების მიზნით 1940 წ. თბილისში შესდგა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ხეროიმოძღვართა შემოქმედებითი კონფერენცია.

